პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 42 (1212) | სამშაბათი, 8 აპრილი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკურ კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. ლვოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მიხეილ იტკისმა დაამყარა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რეკორდები.

სურათზე: (ზევით) მიხეილ იტკისი. ქვევით — ცეცხლის ხაზზე შეჯიბრების დროს.

ფოტო კ. ბუბინინისა.
საკდესის ფოტოქრონიკა.

პროტესტის ხმა

როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და მთელი გერმანიის ახალგაზრდობა სასტიკ პროტესტს გამოთქვამს ბონის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის მიზანია დასავლეთ გერმანია გადააქციოს ნატოს ატომური ომის ბაზად.

ლაიპციგის უმაღლესი სპორტული სკოლის 1600-ზე მეტმა სტუდენტმა ამის გამო მოაწერა ხელი პროტესტს. თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამენ აგრეთვე ერფურტის ოლქის ფეხბურთელები, რომლებმაც ამას წინათ მოწოდებით მიმართეს დასავლეთ გერმანიის ჰესენის მიწის ფეხბურთის გაერთიანებას, რომ ერთად იბრძოლონ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ქალაქ ცელამელის (ზულის ოლქი) სპორტსაზოგადოება „მოტორის“ 250-მა სპორტსმენმა და მწვრთნელებმა თავიანთ კრებაზე მიიღეს ბუნდესვერის ატომის იარაღით შეიარაღების საწინააღმდეგო რეზოლუცია.

ევროპის ყოფილი რეკორდსმენი ჰოკით ხტომაში მანფრედ პრეისგერი და მისი მწვრთნელი ფრიც კოხი გამოვიდნენ წინადადებით, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ატომური შეიარაღება ნიშნავს ომს, რომლის შედეგად შეიძლება გერმანია სრულიად განადგურდეს. ამისათვის ჩვენ მოვუწოდებთ ყველა სპორტსმენს, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს იბრძოლოს ამ საფრთხის წინააღმდეგ და ევროპის ზონის ატომური იარაღისაგან გათავისუფლებისათვის“.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ტელეგრაფის სააგენტომ და გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტმა“ გამოაქვეყნეს ორი სახელმოხვეჭილი სპორტსმენის — მსოფლიო რეკორდსმენის ს. იუნგვირტისა და XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის დ. ზატოპკოვას განცხადება, რომელშიც ისინი პროტესტს აცხადებენ დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ.

ჩვენი ძირითადი უბანი

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი, უპირველესი მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენებში ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ემსახურება ამ კეთილშობილურ პრინციპს. ჩვენი დროის უდიდესი შეჯიბრების — საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის“ დებულება ასე იწყებოდა — „სპარტაკიადის მიზანია მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკურად გამოწრთობა. ყოველი ღონისძიება, რა მასშტაბისაც არ უნდა

ლის გასაცნობად. რაიონული, საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა ძირითადში გაიგეს ახალი სისტემის არსი, უფრო მეტიც, მეტად საქმიანი წინადადებებითაც გამდიდრეს იგი. ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელი იყო და მიმდინარე წლის დასაწყისიდან უნდა დაწყებულიყო ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ... სწორედ ამ მაგრამშია საქმე. როგორც ირკვევა, ბევრ საწარმოო და საკოლმეურნეო კოლექტივს ამ მიმართებით ჯერ არაფერი გაუკეთებია. ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ მათ მუშაობაში სიახლისაკენ სწრაფვის რაიმე ნაპერწკალი ჩანდეს, ვიტყოდით რომ დღეს თუ არა ხვალ შეუდგებიან საქმიანობას. მაგრამ არა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალი გავიდა და საქმე კი არ ჩანს.

ფაქტისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. ვნახოთ რა მდგომარეობაა თბილისის საუკეთესო კოლექტივებში. „რემობუვის“ კოლექტივი, რომლისაგან ბევრს ბოველოდით, სრულიად ჩამორჩა ფიზკულტურული მოძრაობის ტემპებს, მაგრამ ჩამორჩენაც არის და ჩამორჩენაც, ჩამორჩა სამარცხვინოდ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალი დამთავრდა და კოლექტივს სამუშაო გეგმაც კი არ შეუდგენია. სექციების მუშაობაზე, შეჯიბრებათა წრიული სისტემით და ტურებით ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქარხანა „პლასტმასის“ კოლექტივმა სათანადოდ ვერ შეაფასა საზოგადოებრივი კადრების მნიშვნელობა, უთავბოლო მუშაობით შემოიფანტა აქტივი, ვერ შეინარჩუნა ბაზები და ჩამორჩენილთა რიგებისაკენ გადაინაცვლა. ჩუმლაყის კოლმეურნეობა რესპუბლიკაში მოწინავე იყო. ერთხელ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორადაც კი მოგვევლინა, მაგრამ აღებული ვალდებულებები ქაღალდზე დარჩა, ხოლო კოლექტივი — ჩამორჩენილთა შორის.

ჩვენ ეს სამი კოლექტივი ასე გულისტკივილით იმიტომ აღვნიშნეთ, რომ აქ საქმე გვაქვს ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ ფიზკულტურის მნიშვნელობის სათანადოდ შეუფასებლობასთან. ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ოსიშვილს და არტელ „რემობუვის“ თავმჯდომარეს ნ. რიკრიკაძეს სიხარულით გული ევსებოდათ, როცა თავიანთი კოლექტივის წარმატებას ხედავდნენ, ახლა კი აინუნშიაც არ აგდებენ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას. მათ ჩამორჩენას გულხელდაკრეფილნი შესცქერიან აგრეთვე ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები, არავითარ ზომებს არ იღებენ, თითქოს რაიონში თითზე ჩამოსათვლელი არ ჰყავდეთ მოწინავე კოლექტივები.

მიმდინარე წელი სპარტაკიადების წელია. „კოლმეურნე“, „სპარტაკი“, „დინამო“, პროფკავშირები ატარებენ თავიანთ სპარტაკიადებს, ეს კომპლექსური ღონისძიებები, როგორც წესი, რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. მათ შორის პირველი ეტაპი შიდასაკოლექტივო სპარტაკიადებს გულისხმობს. ამიტომ სწორედ ახლა გვჭირდება მთელი ძალების მობილიზება, რათა მაღალ დონეზე ჩატარდეს შეჯიბრებები. ამ საქმეში ღიად დახმარებას გაგიწევს კომიტეტის ბრძანება ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრებების ახლებური მეთოდის დანერგვაზე. კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პრინციპულ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები, უნდა მიაღწიონ დირექციის დახმარებას, გაშალონ თვითმოქმედება და აქტივის დახმარებით გამოაცოცხლონ საქმიანობა.

ის ამბავი, რომ „რემობუვისა“ და ჩუმლაყის კოლექტივები ჩამორჩებიან, მეტყველებს რაიონული კომიტეტების უდარდელ მუშაობაზე, უფრო მეტიც, დანაშაულია შორიდან უყურო, თუ როგორ იშლება სექციები, კოლექტივი. სპარტაკიადების დაწყებამდე დრო კიდევ არის. ამიტომ კომიტეტებმა ახლავე უნდა გააკეთონ სათანადო დასკვნები, ფეხზე დააყენონ დაშლის გზაზე დამდგარი კოლექტივები.

მასობრივი მუშაობა, ძირეული კოლექტივი ჩვენი დასაყრდენია, მაშასადამე, ყოველმხრივ უნდა ვიბრძოლოთ მის განმტკიცებაზე. ეს არის ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობა.

საკავშირო პირველობები

კრივი

5 აპრილს მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დაიწყო კრივში სსრ კავშირის XXIV პირველობის ფინალური შეხვედრები. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისათვის იბრძვის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების 80 სპორტსმენი, რომელთა შორის ბევრია ნიჭიერი ახალგაზრდა. ყველაზე საინტერესო იყო მძიმე წონის · როსტოველი ლ. მუხინისა და რიგელი ი. ლანცესის შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ლ. მუხინის დამარცხებით. დამარცხება განიცადეს აგრეთვე ისეთმა ძლიერმა მოკრივეებმა, როგორებიც არიან ერევნელი კ. ჯანერიანი, სსრ კავშირის ჩემპიონები ი. გრიმოვი, ს. ისაევი და ვ. სტოლნიკოვი.

ა. კოლესნიკოვის (საქართველო) და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ა. კორომისლოვის (მოსკოვი) ორთაბრძოლაში ეჭვი არავის შეპარვია მოსკოველის გამარჯვებაში. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი არა თუ ოსტატურად იგერიებდა გამოცდილი მოკრივის იერიშებს, არამედ ძლიერი დარტყმებით ქულას ქულაზე აგროვებდა. მსაჯებმა გამარჯვებულად სცნეს ა. კოლესნიკოვი. თავიანთ მეტოქეებზე გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე საქართველოს გუნდის წევრებმა ს. ჩატულიდმა და გ. ბუმბიაშვილმა.

წყალბურთი

მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის საცურაო აუზში 6 აპრილს დაიწყო უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობა. ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:2. თბილისის „ბურევესტნიკმა“ წაგო მატჩი ცსკმოსთან — 0:4. მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — 5:4, „ბურევესტნიკმა“ (მოსკოვი) — ლენინგრადის „ვოდნიკი“ — 2:0.

პირველი ვიზიტი

4 აპრილს მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი თავიანუფალ ჭიდაობაში, რომელიც მთელ რიგ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს ჩაატარებს. პირველი მატჩი დანიშნულია დღეს, ნიუ-იორკში.

ეს პირველი სპორტული დელეგაციაა, რომელიც ამერიკაში გაემგზავრა კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 27 იანვრის ხელშეკრულებით. დელეგაციის ხელმძღვანელია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. პესლიაკი, მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კრუტკოვსკი. გუნდის შემადგენლობაში არიან მ. ცალქალამანიძე, ვ. არსენიანი, ლ. სალიმულინი, ვ. სინიავსკი, ვ. ბალავაძე, ვ. სხირტლაძე, ბ. კულაევი და ო. კანდელაკი.

ჩვენი მოჭიდავეების ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლის საპასუხოდ სსრ კავშირში ჩამოვლენ ამერიკელი კალათბურთელები, რომლებიც ითამაშებენ მოსკოვში, თბილისსა და ლენინგრადში. სტუმრებს პირველი შეხვედრები ექნებათ მოსკოვში 25 და 26 აპრილს ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდთან. 28-29 აპრილს ითამაშებენ თბილისში.

ამის შემდეგ ამერიკელი კალათბურთელები გამოვლენ ლენინგრადში რსფსრ-სა და ლენინგრადის გუნდების წინააღმდეგ.

ჩატარდება
დოსაფის
საკავშირო
სპარტაკიადა

სპორტული ცხელი

ქუთაისის
საავტომობილო
ქარხნის ბაზაზე
სპირდუგა რეკორდი

საინფორმაციო ღონისძიებები

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და დოსაფის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შემდინარე წლის მაის-სექტემბერში ჩატარდება საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნება ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს.

სპარტაკიადა გაიმართება ოთხ ეტაპად. მაისში მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სახმართველობებში. პირველი ეტაპის მონაწილენი გამარჯვებისათვის იბრძოლებენ საწყლოსნო გამოყენებით მრავალჭიდში: სროლა მცირე კალიბრიანი შაშხანიდან, მოტოკროსებს, რადიომოყვარულები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ტექსტის სწრაფ გადაცემასა და მიღებაში.

ივნისში დაიწყება სპარტაკიადის მეორე ეტაპი—საქალაქო და რაიონული შეჯიბრებები. აქ მრავალჭიდოსანთა გარდა ბრძოლებში ჩაებმებიან საზღვაო და ავიომოდელისტებიც.

მომდევნო—მესამე ეტაპზე გაიმართება მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები რეგულარულად ვარჯიშობენ სპორტის თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ სახეობებში, მათ შორის მსროლელები, მოტოციკლისტები, ავტომძღოლები, რადიომოყვარულები, პლანერისტები, პარაშუტისტები, საზღვაო მრავალჭიდოსნები, „ნორჩი მეზღვაურის“ ნიშნოსნები, მოდელისტები და მოტორიანი ნავის მძღოლები.

აღსანიშნავია, რომ საწყლოსნო-მოტორული სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა მხოლოდ გასული წლის ოქტომბრიდან. ამ საქმის პირველი ენთუზიასტები იყვნენ ბათუმის საზღვაო კლუბის მუშაკები. ამჟამად ამ სახეობაში სათანადო მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სოხუმსა და თბილისშიც.

ნაყოფიერად მუშაობენ ავიო და საზღვაო მოდელისტები. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სახლის საზღვაო მოდელისტებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს კ. კახელაძე, ენერგიული სამზადისი დაიწყეს მომავალი შეჯიბრებისათვის. რადგან გადაწყვეტილი აქვთ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ გასულ წელს მოპოვებული გარდამავალი თასი, მაგრამ უბრძოლველად დანებებას არც სოხუმისა და ბათუმის პიონერთა სახახლის წრეები აპირებენ.

საინტერესო იქნება ავიომოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება და მსროლელთა ასპარეზობა თბილისში. სოხუმში განზრახულია „ნორჩ მეზღვაურთა“ პირველობის ჩატარება. ბათუმში გარდა საზღვაო მოდელისტებისა და მოტორიანი ნავებით შეჯიბრებისა, გაიმართება, აგრეთვე შეხვედრები საზღვაო მრავალჭიდში.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა წარმატებით აღნიშნონ ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავი და მოიპოვონ ახალი წარმატებები.

ა. ლავრენტიევი,
საქართველოს დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.

ფიზკულტურის საკითხი რაიკომის გიუროზე

ახმეტის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ 2 წელიწადში საგრძნობლად გარდაქმნეს მუშაობა. რაიონში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ქისტაურის სასოფლო-სამეურნეო არტელის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი. მის მუშაობას, კოლმეურნე ახალგაზრდებში სპორტის დანერგვას შესაფერის დახმარებას უწევს კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე გ. მაილაშვილი), რომელმაც წელს 8 ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინა.

მაგრამ, სამწუხაროდ, რაიონის მთელ რიგ სოფლებში, კერძოდ კი კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის ფიზიკური კულტურის დანერგვას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ქვემო და ზემო ალვანის, მატნის, ოეიოსა და სხვა კოლმეურნეობებში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. არ გააჩნიათ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, ინვენტარი, ღონისძიებები არ ტარდება.

რაიონის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის ამას წინათ იმსჯელა საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის ბიურომ, რომელმაც კოლმეურნეობათა გამგეობებს, პირველად პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა აპრილის ბოლომდე გამოყონ მიწის ნაკვეთები მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოსაწყობად და სექციები უზრუნველყონ სპორტული ინვენტარით.

რაიკომის ბიურომ რაიკომკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ა. გოდერძიშვილს დაავალა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის განცხადების საფუძველზე რაიონის სავაჭრო ობიექტებში შემოზიდოს სპორტული ინვენტარი.

მ. უუშიტაშვილი

ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშობის წარმმართველ ბირთვს წარმოადგენს ძირეული საბჭო, რომელიც სპორტსმენებისა და პასუხისმგებელ მუშაკებისაგან შედგება. ფიზკულტურელთა უკანასკნელმა კრებამ მის შემადგენლობაში აირჩია ქარხნის დირექტორი შ. კიკნაძე, სპორტის ოსტატი ლ. არღანაშვილი, პირველთანრიგოსანი მოკრივე, მოწინავე ზეინკალი — ნ. ეგოროვი, განყოფილების უფროსი, პირველთანრიგოსანი შტანგისტი — ა. ბარბაძე, სამჭროს ოსტატი, პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი — გ. მაღლაკელიძე, ინჟინერ-მექანიკოსი, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი — ს. მურღულია და სხვები.

ეს საკმაოდ ძლიერი პირთვი სიყვარულით მოეკიდა საქმეს. სათანადოდ დარაზმა ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი. საბჭო რეგულარულად ატარებს სხდომებს. მისი კვარტალური გეგმები მოიცავს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საჭირბოროტო საკითხებს.

ქარხანაში ჩამოყალიბებულია და მუშაობს სპორტული სექციები 12 სახეობაში, რომლებშიც გაერთიანებულია მრავალი მუშა-მოსამსახურე. სექციებს ხელმძღვანელობენ ადგილზე მომზადებული სახოგადოებრივი კადრები—ქარხნის მოწინავენი, რომლებიც საწარმოო გეგმებს 150-200 პროცენტზე მეტით ასრულებენ. ასე მაგალითად, სარემონტო მექანიკურ საამქროს მძღოლობის სექციას, რომელშიაც გაერთიანებულია 20 კაცი, ხელმძღვანელობს ხარატი ა. გრიგორკი, საიარაღო საამქროს მუშებს სიმძიმეების აწევაში ამეცადინებს მდარავი ჯ. შენგელია, ხოლო ფრენბურთში ხარატი — დ. კოკალჩუკი, თერმიულ საამქროში — ქართულ ჭიდაობას კარგად ხელმძღვანელობს კ. კიბირია და ა. შ.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს მიერ შედგენილი სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის საფუძველზე ხშირად ეწყობა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში. მაგალითად, გასული წლის განმავლობაში საამქროებს შორის 17 ღონისძიება გაიმართა, ხოლო სამატჩო შეხვედრები და ამხანაგური შეჯიბრებები 12-ჯერ.

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების ჩატარების შედეგად ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან გადაჭარბებით შეასრულა მშთ ნიშნოსნებისა და სპორტ-მენ-თანრიგოსნების მომზადების გეგმა.

მაგრამ, მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის გარეშე ჯერ კიდევ საკმარისად არიან დარჩენილი მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები. ქარხანაში მომუშავე რამდენმე ათასი მშრომელიდან ფიზკულტურის კოლექტივში გაერთიანებულია მხოლოდ 1360 კაცი, მეთოდისტებმა გ. მებურიშკილმა, ნ. ჭეიშვილმა, რ. მესხმა და ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ე. ნიჟარაძემ გაჭირვებით შეძლეს საწარმოო ტანვარჯიშში ჩაებათ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მხოლოდ 24%. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა 13%-ს შეადგენს, სურათი ნათელი იქნება.

ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმან განაპირობა, რომ საქარხნო საბჭო, ინსტრუქტორები, მწვრთნელები და მეთოდისტები არადამაკმაყოფილებლად წარმართავენ საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობას საამქროებსა და განყოფილებებში. საამქროთა ძირეული კოლექტივები ორგანიზაციულად განუმტკიცებელია, მათი მუშობა არ იგეგმება, ბევრგან შექმნილი არ არის სექციები სპორტის სახეობების მიხედვით და მშთ სასწავლო ჯგუფები.

სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები სექციებში ხშირ შემთხვევაში უინტერესოდ, ზოგჯერ კი მეთოდურად გაუმართლებლად, უგეგმოდ მიმდინარეობს, რის შედეგადაც ქარხნის სპორტსმენთა ოსტატობის დონე ძალზე ნელი ტემპით იზრდება. საქარხნო შეჯიბრებებში მონაწილეთა უმრავლესობის შედეგი ძალზე დაბალია და არ შეეფარდება კომპლექსის ნორმატივებსაც კი.

აქაურმა ფიზკულტურელებმა 1957 წლის 11 ივნისს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივთან დადეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, მისი შემოწმება კი დღემდე არ მომხდარა. საამქროებს შორის კი შეჯიბრება დღემდე არაა გაშლილი.

ქარხნის ტერიტორიაზე კარგა ხანია არსებობს სტადიონი სარბენი ბილიკებით და მძლეოსნური სექტორებით, აგრეთვე კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, გასახდელი და შხაპი, მაგრამ ყველა ისინი კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. არ გააჩნიათ დახურული ნაგებობა, რის გამო ზამთრისა და უამინდობის პერიოდში სპორტსმენები მოწყვეტილი არიან სისტემატურ მეცადინეობას.

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულზე და ქარხნის კოლექტივს დაუსახა სათანადო ღონისძიება. ქუთაისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასვა საკითხი—სათანადო დახმარება გაუწიონ ქარხანას ბაზების მოწყობასა და ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნაში.

ნ. სომხიშვილი,
ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი.

გაცხოველებული ფიზკულტურული საქმიანობა ჩქეფს ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტი-სპორტსმენები სტუდენტთა მომავალი თამაშებისათვის ემზადებიან, რომლის ფინალში გასასვლელად ღირსეულ მეტოქეთა წინააღმდეგობის დაძლევაა საჭირო. ამიტომაა, რომ ნაკრები გუნდები აქ მხოლოდ მაღალთანრიგოსანი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ, უახლოესი თამაშებისათვის მზადება არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ დღევანდელზე იფიქრო და მომავლისათვის თადარიგი არ დაიჭირო. ამიტომ, ამთავითვე სათანადო ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის წამყვან სპორტსმენთა ღირსეულ ცვლას.

ს ურ ა თ ზ ე: უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა სექციის მუშაობა. მასწავლებელი ხ. ბურჯანაძე მეცადინეობას ატარებს სტუდენტ მოდებაძესთან.

ფოტო ვ. აბაშიძისა.

ორ სვალიონზე

ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და „დინამოს“ სტადიონებზე დამთავრდა სპორტსაზოგადოება „გათიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრება მიზნად ისახავდა ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 1958 წლის პირველობაზე მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

გათამაშებაში მონაწილეობდნენ: ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, ციტრუსკომბინატის, კოფეინის ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკის, ავტოსატრანსპორტო კანტორის, საავეჯო ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციათა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფეხსაცმლის ფაბრიკისა და ავტოსატრანსპორტო კანტორის ფეხბურთელები. გამარჯვება მოიპოვეს მეფეხსაცმელეებმა ანგარიშით 1:0.

შ. მამინაშვილი

გადამწყვეტი შეხვედრები

მოლდავეთის გუნდთან გამარჯვების შემდეგ „ბ“ კლასის კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი შეხვდა ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს, რომლებიც პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან. მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო ლენინგრადელების უპირატესობა. მატჩის ანგარიშია 51:34 ლენინგრადის გუნდის სასარგებლოდ.

ზედიზედ ორი დამარცხება განიცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა, რომელმაც ჯერ წაგო ლიტვასთან (62:68), ხოლო შემდეგ ტაჯიკეთის გუნდთან — 65:88.

ი. გოლემბიოვსკი,
ჩვენი საეც. კორესპონდენტი.

წყალში მყვინთავთა რესპუბლიკური შეკრება

სოხუმში ერთ თვეს გრძელდებოდა საქართველოს დოსააფის მყვინთავთა რესპუბლიკური შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსმენები თბილისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, გაგრიდან და ფოთიდან. მყვინთავები გადიოდნენ მომზადებას საქართველოში მაშველ სადგურებზე საზაფხულო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით. ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, შეკრებილნი ინტენსიურად მეცადინეობდნენ. თამამად ეშვებოდნენ 20 მეტრის სიღრმეზე, წყლის ქვეშ გადიოდნენ 100 მეტრსა და წყალში 20 წუთზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ.

შეკრებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსტრუქტორი ვ. სკასირსკი, კარგად ჩაიარა. მყვინთავებს პრაქტიკულ მეცადინეობაში დიდი დახმარება გაუწია ექთანმა ო. ტარასევიჩმა.



სურათებზე: თბილისის ზღვის საწყლოსნო სადგურის უფროსი კ. ციბაძე ზღვაში ჩასაშვებად ამზადებს ბათუმელ მყვინთავ ი. ილინას. ვ. სკასირსკი ხელმძღვანელობს მყვინთავ ა. მეუინსკის მეცადინეობას.

ფოტო და ტექსტი ს. უელტიკოვისა.

ლიტვა - საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკების [illegible] ტრადიციული ამხანაგური მატჩი მოეწყო ბათუმში 5 და 6 აპრილს. პროგრამაში იყო მძლეოსნობის 29 სახეობა, რომელთაგან 15-ში გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები. მატჩის საერთო ანგარიშია 159,5:156,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ამ შეჯიბრებაზე ლიტველმა მძლეოსნებმა დაამყარეს 4 რესპუბლიკური რეკორდი.

მატჩის დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება „ლელოს“ მორიგ ნომერში.

იბრძოდნენ... წაგებისათვის

არსებობს თქმულება: ცხენოსნები ერთმანეთს შეეჯიბრნენ იმაში, თუ რომელი უფრო გვიან მივიდოდა დანიშნულ ადგილამდე. ასეთი არაჯანსაღი, არასპორტული „შეჯიბრების“ მოწმენი გახდნენ სოხუმელი მაყურებლები ახალციხისა და წულუკიძის მოსწავლე კალათბურთელთა შეხვედრაში, რომლებიც სასკოლო რესპუბლიკური პირველობის მონაწილენი იყვნენ მეორე ჯგუფში. ეს დასაგმობი ფაქტი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: შეჯიბრების ერთ-ერთ ქვეჯგუფში უკანასკნელი შეხვედრის წინ სამ გუნდს — მახარაძის, გორისა და ახალციხის — თითო-თითო დამარცხება ჰქონდათ, მაგრამ ამ ქვეჯგუფში ახალციხელთა პირველ ადგილზე გამოსვლა და მაშასადამე, ფინალურ შეხვედრაში პირველი ადგილისათვის ბრძოლა უკვე გამორიცხული იყო მახარაძელებთან და გორელებთან შედარებით ბურთების უარესი შეფარდების გამო. ქვეჯგუფის უკანასკნელ შეხვედრაში კი ახალციხელები წულუკიძის სპორტსმენებს ხვდებოდნენ. მათი ორთაბრძოლის შედეგიო წყდებოდა ფინალურ შეხვედრაში გასვლის ბედიც: თუ მოიგებდნენ ახალციხელები, მახარაძის გუნდს ხვდებოდა ეს უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში — გორელ სპორტსმენებს.

რატომღაც ისე მოხდა, რომ ახალციხის გუნდმა მახარაძელთა „შეფობა“ იკისრა, წულუკიძის გუდმა კი გორელების. და დაიწყო „ბრძოლა“ წაგებისათვის. ეს უინტერესო შეხვედრა დამთავრდა წულუკიძელთა „გამარჯვებით“ — 62:61. მსაჯთა კოლეგიის სამართლიანი გადაწყვეტილებით მატჩის შედეგი გაუქმებულ იქნა და განმეორებითი შეხვედრა დაინიშნა, რომელშიც გამარჯვებულნი ახალციხელები გამოვიდნენ — 74:68. ამრიგად, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მახარაძელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც შემდგომ დიდი ანგარიშით — 82:37 დაამარცხეს ფოთელი მეტოქეები და პირველი ადგილიც გაინაღდეს.

გოგონათა შორის ყველა შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს წულუკიძელმა მოსწავლე-სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალციხის გუნდი. დიდი უცნაურობით ჩატარდა მესამე საპრიზო ადგილისათვის მებრძოლ კოლექტივთა — გორელ და ფოთელ გოგონათა გუნდების შეხვედრა. როცა მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა და ანგარიში თანაბარი იყო — 33:33 — პერსონალურ შეცდომათა გამო გორის გუნდში მხოლოდ სამი სპორტსმენი დარჩა. ამის მიუხედავად, ფოთელთა სრულმა შემადგენლობამ ვერ გამოიყენა აშკარა რიცხობრივი უპირატესობა და შეხვედრა წააგო ანგარიშით — 38:39.

შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა სხვა ფაქტსაც. ხელოვნური საქციელით გამოიჩინა თავი გორის გუნდის წევრმა ჯ. სიდამონიძემ. ის თავდაპირველად ერთი თამაშით იქნა დისკვალიფიცირებული გინების გამო, ხოლო შემდგომ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა ერთ-ერთ ახალციხელ სპორტსმენს იმიტომ, რომ მან „გაბედა“ თამაში მთელი ძალით წულუკიძელებთან შეხვედრაში. ამ ბოლო ხანებში გორელი სპორტსმენების მხრივ ასეთი დასაგმობი ქცევები გახშირდა (გაიხსენეთ ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შეჯიბრებაზე გორელი ბაზერაშვილის არასპორტული საქციელი). ეს გარემოება გვაიძულებს მთელი სიმკაცრით დავსვათ საკითხი გორის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის წინაშე: კიდევ დიდხანს შეურიგდებიან ისინი თავიანთ სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ასეთ ჩავარდნას?

პასუხი უნდა მოეთხოვოს აგრეთვე ახალციხისა და წულუკიძის მოსწავლე-კალათბურთელთა მესვეურთ იმ არასპოტული, არაჯანსაღი მოქმედებისათვის, რასაც ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ჰქონდა ადგილი.

ჯ. ანთია,

ა. ლომაია.

ფეხბურთში საქართველოს 1958 წლის პირველობის კალენდარი პირველ ჯგუფისათვის

პირველი წრე

I ზონა

13 აპრილი

„განთიადი“ (გორი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „დინამო“ (სოხუმი)-„მეტალურგი“ (რუსთავი), ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა (თბილისი)-ტტს-ი (თბილისი), „დინამო“ (ქუთაისი)-„სპარტაკი“ (თელავი), „სპარტაკი“ (სტალინირი)-„კოლმეურნე“ (ქობულეთი).

19 აპრილი

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„განთიადი“ (გორი).

20 აპრილი

ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)-„სპარტაკი“ (სტალინირი), ტტს-ი (თბილისი) - „დინამო“ (სოხუმი), „სპარტაკი“ (თელავი)-ახალგაზრდა ფეხ. სკოლა (თბილისი), „კოლმეურნე“ (ქობულეთი)-„დინამო“ (ქუთაისი).

27 აპრილი

„სპარტაკი“ (სტალინირი)-„მეტალურგი“ (რუსთავი), „განთიადი“ (გორი)-ტტს-ი (თბილისი). „დინამო“ (სოხუმი)-„სპარტაკი“ (თელავი), ახალგაზრდა ფეხ. სკოლა (თბილისი)-„დინამო“ (ქუთაისი), ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)-„კოლმეურნე“ (ქობულეთი).

II ზონა

13 აპრილი

„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)-„ოდიში“ (ზუგდიდი), „მაღაროელი“ (ციათურა)-„ტორპედო“ (ქუთაისი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-ქალაქ ფოთის გუნდი, „კოლმეურნე“ (მახარაძე)-„დინამო“ (ბათუმი), 26 კომ. სახ. რაიონი (თბილისი)-„სხივი“ (რუსთავი).

20 აპრილი

„ოდიში“ (ზუგდიდი)-26 კომ. სახ. რაიონი (თბილისი), „ტორპედო“ (ქუთაისი)-„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი), ქალაქ ფოთის გუნდი-„მაღაროელი“ (ციათურა), „დინამო“ (ბათუმი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია), „სხივი“ (რუსთავი)-„კოლმეურნე“ (მახარაძე).

27 აპრილი

26 კომ. სახ. რაიონი (თბილისი)-„ტორპედო“ (ქუთაისი), „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)-ქალაქ ფოთის გუნდი, „მაღაროელი“ (ციათურა)-„დინამო“ (ბათუმი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„კოლმეურნე“ (მახარაძე), „ოდიში“ (ზუგდიდი)-„სხივი“ (რუსთავი).

ჩემპიონის სახელისათვის

5 აპრილს თბილისში რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა საქართველოს 1958 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის. ტურნირში მონაწილეობენ (კენჭისყრის მიხედვით): ი. კამენკოვიჩი, ც. სამსონია (ორივე თბილისიდან), ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი), გ. აბრასიმოვა (თბილისი), თბილისის 1958 წლის ჩემპიონი მ. ტოგონიძე, საქართველოს 1957 წლის ჩემპიონი ე. კაკაბაძე, ე. ხუბუა (მცხეთის რაიონი), ნ ფანქველაშვილი (ხაშური), ლ. ხაჭაპურიძე, მ ჩიმახიძე (ორივე თბილისიდან), გ. ბუცხრიკიძე (ქუთაისი), ს. ივანოვა (ბათუმი), ქ. გოგიავა (თბილისი), თ. ბერიშვილი (ონი).

ჩვეულებრივ ძნელია შეჯიბრების სტარტი. კარგ დასაწყისს შეუძლია აგულიანება, ენერგიის მომატება და აქედან გამომდინარე, გამარჯვების სიხარული. ამიტომ I ტურში, რომელიც 6 აპრილს შედგა, ორავალი პარტიის დასაწყისი დიზერტაციონიშნით მიმდინარეობდა. ნელ-ნელა მეტოქეები გაიტაცა ფიცხელმა ბრძოლამ და ძალე პირველი შედეგებიც აღინიშნა.

მუხრანელმა მოსწავლე ხუბუამ, რომელიც პირველად მონაწილეობს ესოდენ სპასუხისმგებლო ტურნირში, ადვილად მოიპოვა გამარჯვება. ფანქველაშვილმა მას ორი ფიგურა „აჩუქა“. ასეთ მოგებას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ხუბუა. მან არ უნდა იფიქროს, რომ ასე ადვილად შეიძლება ქულების მოპოვება შემდგომში. ხაშურელ მოჭადრაკეს კი არ უნდა გუტყდეს გული, საჭიროა გაითვალისწინოს შეცდომები და მოახდინოს ძალების მობილიზება ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. თბილისის ჩემპიონმა ტოგონიძემ ოთხი მხედრის დებიუტში მოიპოვა უპირატესობა ჩიმახიძესთან და გაიმარჯვა. ლამაზი კომბინაციით დაგვირგვინა პარტია აბრასიმოვამ ბუცხრიკიძესთან.

ყველაზე საინტერესო იყო კაკაბაძე-ხაჭაპურიძის შეხვედრა. კაკაბაძემ ნაადრევად დაიწყო შეტევა, რომელიც ერთადერთი სვლებით მოიგერია ხაჭაპურიძემ. 25-ე სვლაზე მეტოქეები ყაბზე შეთანხმდნენ. გოგავამ დაიშამათა სამსონიას. მეფე. ჩაიკოვსკაიამ თანამიმდევრული, გაბრძოლებული თამაშით დაამარცხა ივანოვა. კამენკოვიჩმა მოუგო ბერიშვილს.

ლიტერატურული

თერჯოლა

ინტერესი გამოიწვია „კოლმეურნის“ რაიონულმა პირველობამ მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში. ჩოგბურთელების პირველობაში 10 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა გ. კიკნაძემ, მეორე — გ. მაკარიძემ, მესამე — კ. გიგაშვილმა.

შაშში ჩემპიონის სახელი დაიმკიდრა უ. ქოჩიაშვილმა.

* * *

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ჩატარდა რაიონის პირველობა ჭადრაკსა და შაშში. შვიდწლიან სკოლების წარმომადგენელ ვაჟთა შორის ჭადრაკში პირველი ადგილი დაიკავა რ. კენჭოშვილმა, მეორე— რ. რობაქიძემ; გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა ნ. ზარნაძე. საშუალო სკოლებიდან ვაჟებში ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ყაველაშვილმა, ხოლო გოგონებში — ზ. აბესაძემ.

შაშში საშუალო სკოლების წარმომადგენელთა შორის ვაჟებში პირველი ადგილი დაიკავა ა. ღვინეფაძემ, გოგონებში — ნ. ცხელიშვილმა; შვიდწლიან სკოლების წარმომადგენელთა შორის ვაჟებში—ა. ვარდოსანიძემ, გოგონებში—ნ. ბრეგვაძემ.

უნდა ვუსაყვედუროთ თუზის, ჩხარისა და ალისუბნის საშუალო სკოლების ფიზიკურზრდის მასწავლებლებს, რომლებმაც თავი აარიდეს შეჯიბრებაში მონაწილეობას.

ო. კახიძე

* * *

თელავი

საინტერესოდ ჩატარდა მოტოგადარბენა მარშრუტით: თელავი-გურჯაანი-სიღნაღი - წითელწყაროლაგოდეხი-ყვარელი - ახმეტა-თელავი. მოტოგადარბენის დროს სპორტსმენი-აგიტატორები ლექციებს აუტარებენ მართავდნენ. გადარბენის მონაწილეებს ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ, თელავში კი მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

* * *

კულტურის სახლის ფოიეში ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა თელავის საქალაქო პირველობა ჭადრაკში.

ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა 9 მოჭადრაკე. ტურნირში 1-IV ადგილები გაიყვეს ლ. ხაბურზანიამ, ი. მეგრელიშვილმა, ა. პაატაშვილმა და ბ. ჩიკვაიძემ. თვითეულმა მათგანმა 6 ქულა მოაგროვა. ჩემპიონის გამოსავლინებლად გამარჯვებულთა შორის ჩატარდება მატჩ-ტურნირი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობდა 13 წლის გოგონა თ. ხოგაშვილი. რომელმაც გაიყო VI-VII ადგილი.

ბ. ჩიკვაიძე

„განთიადის“ საჭადრაკო კონკურსი

სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად გამოაცხადა რესპუბლიკური კონკურსი ორ და სამსვლიანი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში.

კონკურსის პირობებში ნათქვამია, რომ მასში ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ამოცანები უნდა გამოიგზავნოს 1 ოქტომბრამდე მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი №95, სპორტსაზოგადოება „განთიადი“. კონვერტზე წარწერით „საჭადრაკო კონკურსისათვის“.

კონკურსზე გამოგზავნილი ამოცანა უნდა იყოს დიაგრამაზე დახატული. მას აუცილებლად უნდა დაერთოს ახსნაც. ამასთან ავტორმა უნდა მოიხსენიოს თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი, სამსახურის ადგილი და მისამართი საუკეთესო ნაწარმოებთათვის დაწესებულია სამ-სამი ჯილდო.

კონკურსის მსაჯთა კოლეგია შედეგებს გამოაქვეყნებს თბილისის საიუბილეო დღეებში.

მოშაშეთა ჯურნირი

ამას წინათ ბათუმის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ქალაქის გუნდური პირველობა შაშში, რომელშიც მონაწილეობდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების 24 გუნდი. მონაწილე კოლექტივები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. თვითეულ გუნდში შედიოდა სამი მოშაშე.

საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ტყავის ქარხნის მოშაშეთა გუნდის გამარჯვებით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ხორუშკინი, გ. იმნაძე და ა. ასატურიანი. მეორე ადგილზე გავიდა ყავის ქარხნის გუნდი, ხოლო მესამეზე — მუსიკალური სასწავლებლის მოჭადრაკეები

ი. ბუდნიკი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



ბელგია. მეტად დაძაბულად მიმდინარეობს ბელგიის პირველობა ფეხბურთში. ლიდერები ყოველ ტურში მძიმე ბრძოლაში ინარჩუნებენ თავიანთ წამყვან მდგომარეობას. XXIV წრის შემდეგ პირველ ხუთეულში მდგომარეობა ასეთია: „ბეერსკოტი“ — 34 ქულა, „სტანდარტი“, „ანტვერპენი“ — 32, „ანდერლეტი“ — 31, „ლა განტოაზი“ — 30. ბოლო ადგილზეა „ტილიოზი“ — 12 ქულა.

ჩეხოსლოვაკია. დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონატის მატჩი ბრატისლავას „სლოვანსა“ და პრაღის „ლუკლას“ შორის. „სლოვანმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა მოწინააღმდეგე.

ინგლისი. ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“, რომელმაც ბოლო ტურში მოუგო „ნოტინჰემს“ — 4:1. ლიდერს მნიშვნელოვნად ჩამორჩა „პრესტონი“—45 ქულა. თბილისელთათვის ცნობილ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ აქვს 44 ქულა და მესამე ადგილზეა. „შაშვებმა“ ბოლო შეხვედრაში გაიმარჯვეს „ევერტონთან“ ანგარიშით 4:0.

ჯერ კიდევ სუსტად თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელმაც დამარცხება განიცადა „ბერნლისთან“ შეხვედრაში — 0:3.

რუმინეთი. აქ მხოლოდ ახლა გაიხსნა ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს პლოეშტის „პეტროლულმა“ (ყოფილი „ენერგია“), ტიმიშოარას „შაინცამ“, არადის „უტა-მ (ყოფილი „ფლამურა როშიე“), კლუჟის „დინამომ“ და სხვ.

საფრანგეთი. ლიდერობს „რეიმსი“ — 39 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან „მონაკო“ — 35, „ანჟე“ — 34, „ნიმი“, „სედანი“ და „სენტ ეტიენი“ — 32 ქულა თვითეულს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „რეიმსმა“ ბოლო ტურში მოუგო „ნიმს“ — 2:1, ხოლო „მონაკოსი“ და „სედანის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

⊙ **ჰელსინკი.** ცნობილმა ფინელმა მძლეოსანმა ო. რინტენპაამ მიიღო მოწვევა იტალიის მძლეოსნური ფედერაციისაგან იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდის წვრთნის თაობაზე.

⊙ **ფლორენცია.** ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში „ფიორენტინასა“ (იტალია) და „ნოტინჰემ ფორესტს“ (ინგლისი) შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

„კაქია ილეთელი“ და მისი მეგობრები

„ყურადღება! ყურადღება! დღეიდან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვხსნით სასპორტო კლუბს. ყველა პიონერს შეუძლია ჩაეწეროს ჩვენს კლუბში!“ — ასეთი მოწოდებით მიმართა ამ ორიოდე თვის წინათ მკითხველებს გაზეთმა „ნორჩმა ლენინელმა“. აქვე განმარტებული იყო კლუბის მიზანი და ამოცანები, მისი წევრების მოვალეობანი.

ბავშვებს, უეჭველია თვალში ხვდებოდათ ნახატი — სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოსწავლე. ეს გაზეთის ახალი. სპორტული გმირი იყო. სხვათა შორის მას არ გააჩნდა სახელი და გვარი, ამიტომ ბავშვებს თხოვდა შეერჩიათ მისთვის შესაფერი სახელი, გვარი. რედაქციამ კონკურსი გამოაცხადა სასპორტო კლუბის სახელწოდებაზეც.

გავიდა რამდენიმე დღე და რედაქციაში იწყო მოსვლა ბავშვების წერილებმა. ისინი სურვილს გამოთქვამდნენ ჩაწერილიყვნენ კლუბში, თან აგზავნიდნენ წინადადებებს კლუბის საუკეთესოდ ბისათვის, სახელსა და გვარს სთავაზობდნენ გაზეთის სპორტულ გმირს. მრავალმა პიონერმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში, რომლის შედეგად სასპორტო კლუბს ეწოდა „მერცხალი“, სპორტულ გმირს კი — კაუია ილეთელი.

ბევრი მეგობარი ჰყავს ახლა ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში „კაუია ილეთელს“. ყველა ისინი სისტემატურად ასრულებენ დილის ვარჯიშს, მეცადინეობენ სასპორტო სექციებსა და წრეებში, მტკიცედ იცავენ დღის რეჟიმს, აქტიურად მონაწილეობენ შეჯიბრებებში, იბრძვიან იმისათვის, რომ პიონერულ რაზმში კარგად იყოს დაყენებული ფიზკულტურული საქმიანობა.

„ნორჩი ლენინელის“ თითქმის ყოველ ნომერში საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი სასპორტო კლუბს, აქ პიონერები ეცნობიან გამოჩენილ სპორტსმენებს, რომლებიც მათ უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, აძლევენ ჩრევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა გახდნენ ძლიერნი, მოქნილნი, როგორ შეიძლება წარმატების მიღწევა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. სპორტის ოსტატი ო. სანებლიძე დილის გამამხნევებელი ვარჯიშის მნიშვნელობის შესახებ ესაუბრა კლუბის წევრებს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზ. კოვზირიძე შეეხო წყლის პროცედურებს.

აღსანიშნავია, რომ კლუბმა მიზნად დაისახა გააცნოს მის წევრებს ეროვნული ხალხური თამაშობანი. უკვე დაიბეჭდა რამდენიმე ხაინტერესო წერილი: „საქართველოს სპორტული წარსულის ისტორიიდან“, „ყაბახი“, „ჩოგანბურთი“.

საინტერესო იყო მასალა „ორი ფოტოსურათის ისტორია“. რედაქციამ მოათავსა მსოფლიო ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის ფოტოსურათები გადაღებული მის ბავშვობაში სკოლაში ჭიდაობის დროს და ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვების შემდეგ. ამასთან ბავშვები გაეცნენ ვახტანგ ბალავაძის ცხოვრების მაგალითზე სისტემატური ვარჯიშის, წვრთნის, მონდომებისა და შეუპოვრობის მნიშვნელობას სპორტსმენის ოსტატობის სრულყოფაში.

ს ურ ა თ ზ ე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ჯილდოზე გამარჯვებულ თელავის კალათბურთელ გოგონათა შორის,

ფოტო სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძისა.

თხილამურებით იალბუზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათხილამურო სპორტში ასეთ ბობს ისეთი მოკლე დისტანციები, როგორც მძლეოსნობაში ან ცურვაში. აქ ტრასის სიგრძე ათეულ კილომეტრობით განიზომება. მიუხედავად ამისა, ხშირად სისწრაფე შეჯიბრების დროს 20 კილომეტრამდე აღწევს საათში და, რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება რბენის დროს სპორტსმენისაგან მოითხოვს სათანადო ძალაც და ამტანობას.

მაგრამ ერთხელ შეძლო მოთხილამურემ განვითარებინა 6-ჯერ მეტი სისწრაფე. აი რაგვარ მოხდა ეს. მოსკოვის მიდამოებში გზად მომავალმა ადამიანებმა მიწის ზედაპირიდან მცირე სიმაღლეზე შენიშნეს თვითმფრინავი, რომლის ბოლოზე ბაგირით მიმაგრებული იყო თოვლზე მოსრიალე საგანი, როცა თვითმფრინავმა ახლოს ჩაიქროლა ადამიანები დარწმუნდნენ, რომ ეს იყო მოთხილამურე პ. კარეევი. თვითმფრინავის სისწრაფე 115 კილომეტრს აღწევდა. კარეევის შედეგი კარგა ხანს დარჩა რეკორდად, ვიდრე 1956 წელს შვეიცარიელებმა თვითმფრინავისავე დახმარებით არ მიაღწიეს 175 კილომეტრს საათში.

ამგვარი წარმატების მიუხედავად სპორტსმენები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან ამ სისწრაფის განვითარება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ დამხმარე ძალის — თვითმფრინავის გამოყენებით. ყველას სურდა მანქანის გარეშე მიეღწია მაქსიმალური შედეგისათვის.

...გასული საუკუნის მეორე ნახევარში ნორვეგიაში პირველად გამოჩნდნენ „მფრინავი ადამიანები“ — მთიანი პროვინციის ტელემარკის გლეხის ბიჭები, რომლებიც შესანიშნავად ფლობდნენ მთიდან დაშვების ხერხებს. ისინი იმდენად იყვნენ დაუფლებულნი ტექნიკას, რომ თვითნაკეთი თხილამურებით დიდი სისწრაფით ძლევდნენ ყველა მოსახვევს ისე, რომ წყლით სავსე ჭიქიდან წვეთსაც არ ღვრიდნენ.

ჩვეულებრივად თანამედროვე სწრაფდაშვების ტრასის სიგრძე სამ კილომეტრამდეა, მაგრამ ბევრ სპორტსმენს არ აკმაყოფილებს ასეთი მცირე მონაკვეთი. სპორტის ოსტატი რ. ბელიაკოვი ავიდა ევროპაში უმაღლეს მწვერვალზე იალბუზზე და მისი მწვერვალიდან თხილამურებით დაშვებით 18 წუთის შემდეგ დაამთავრა დისტანცია. მან საათში 140 კილომეტრის სისწრაფე განაცხადა. მიზანი მიღწეული იყო. ადამიანმა მანქანის გარეშე მიაღწია დიდ სისწრაფეს.

იმ სკოლებში, საიდანაც პიონერთა დიდი რაოდენობა ჩაეწერა კლუბში და კარგად ასრულებენ ვალდებულებებს, გაზეთის სასპორტო კლუბს განსაზღვრული აქვს მოაწყოს შეხვედრები ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტსმენებთან, გამართოს სპორტული დილები. ამ მიმართებით უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც.

ამას წინათ სასპორტო კლუბის „მერცხალის“ წევრების ინიციატივით თელავში მოეწყო პიონერთა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და შაშში. შეჯიბრებები პირველად სკოლებში გაიმართა, შემდეგ კი რაიონის მასშტაბით. დასკვნით ახპარეზობაზე „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის წარმომადგენლებთან ერთად თელავში ჩავიდა სპორტსმენთა ჯგუფი. უდიდესი სიხარულით შეეგებნენ პიონერები სახელმოხვეჭილ კალათბურთელს ოთარ ქორქიას, გამოჩენილ ფეხბურთელს გიორგი ანთაძეს, მოჭადრაკეებს ბუხუტი გურგენიძეს და თენგიზ გიორგაძეს. ისინი დაესწრნენ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სასპორტო კლუბის სახელით გამარჯვებულებს გადასცეს ჯილდოები, შემდეგ კი ესაუბრნენ ნორჩ სპორტსმენებს, მისცეს მათ პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი.

ბ. გურამიშვილი

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წულუკიძის ტექნიკუმში ერთთვეს მიმდინარეობდა საჭადრაკო პირველობა, რომელშიც 20 მოჭადრაკე თამაშობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მესამე კურსის სტუდენტმა კ. გოგოლაძემ (18,5 ქულა).

გ. კვარაცხელია.

• • •

ბათუმის საჭადრაკო კლუბში მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ჩატარდა აქარის გუნდური პირველობა ნორჩ მოჭადრაკეთა შორის. პირველი ადგილი დაისაკუთრა ბათუმის გუნდმა, მეორე — ბათუმის რაიონისა, ხოლო მესამე—ქობულეთის გუნდმა.

გ. ჭანტურია.

• • •

საინტერესო იყო საქართველოს სსრ პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა 10 დაფაზე.

მატჩი მოიგეს პროკურატურის მუშაკებმა ანგარიშით 6,5:3,5.

ვ. ბარბაქაძე

• • •

წითელწყაროს პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში წარმატება ხვდა ზემოქედის ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ შ. მკერვალიძე (ზემოქედი), ს. ტოკლიკიშვილი (სოფ. ჯაფარიძე); კ. ნატროშვილი (ზემომაჩხაანი), შ. სიფრაშვილი (ზემოქედი), ე. ბულაშვილი (არბოშიკი), ზ. ყველაშვილი, ა. ქანაშვილი და ი. პატაშური (ზემოქედი).

გ. ჯანყარაშვილი

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 8 89 62. ბ.მ.ბ მდივნისა და განყოფილებების — 3-90 34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02519

რედაქტორი ი. უგულავა